საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№2247 2011 წლის 18 ნოემბერი ქ. თბილისი

ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოყოფის თაობაზე

1. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის საჭირო 87737 კვ.მ მიწის ფართობი გამოიყოს სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფართობი სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში (ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის) გამოეყოს სს „დარიალი ენერჯის“ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის აღებამდე.

3. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^5 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტომ ჰიდროელექტროსადგურის „დარიალი ჰესის“ მშენებლობისათვის სს „დარიალი ენერჯის“ გაუფორმოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ მიწის ფართობზე სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ხელშეკრულება, სს „დარიალი ენერჯის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მშენებლობის ნებართვის აღებამდე.

4. „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სს „დარიალი ენერჯიმ“ ამ განკარგულების მე-3 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულება დაარეგისტრიროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე აღნიშნული ტერიტორიები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

პრემიერ-მინისტრი **ნიკა გილაური**